№ 48

სახალხო გაზეთი

№ 48

კვირა, 4 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

*** * * *ხელის მომწერთა საყურადღებოდ* * * ***

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტფილისის ქართულ ფილარმონიული საზოგადოების გამგეობა გულითადის მწუხარებით აუწყებს რა უეცრად გარდაცვალებას გამგეობის წევრის და სამუსიკო სკოლის ინსპექტორის

გიორგი ივანეს ძის ნატრამისას

სთხოვს საზოგადოების წევრთ, მოწაფეთ, მეგობრებს და ნაცნობებს დაესწრნენ პანაშვიდს დღეს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—ნ—1)

„განათლების“ საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, დილის 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი **„განათლების“** საზოგადოების დამფუძნებელ წევრის და ამავე საზოგადოების სკოლის გალობის მასწავლებლის

გიორგი ივანეს ძე ნატრამის

სულის მოსახსენებლად. (1—ნ—1)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—12)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—218)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—379)

სახალხო უნივერსიტეტი

დღეს, 4 ივლისს სახალხო სახლში
სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა
მართავს ლექციებს

ხოლერაზე

ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე. ქართულად წაიკითხავს ექიმი **სპირიდონ ვაწაძე**, სომხურად ექიმი **ქალანთაროვი**, რუსულად **ალ. ივანეს ძე ხატისოვი.** პირველად წაიკითხავენ რუსულად, შემდეგ ქართულად და მერე სომხურად.

დასაწყისი პირველი ლექციის დილის 10 საათზე. თვითეული ლექცია გაგრძელდება არა უმეტეს ერთი საათისა. ლექციების კითხვის დროს აჩვენებენ სურათებს.

ყველა ლექციებზე შესვლა უფასოა

(1—ნ—1)

ქუთაისის ქალთა მთავრობის გიმნაზია

(ზარეჩნის ნაწილში, მესხეთის ქ.) აუწყებს, რომ პირველ 1910—1911 სამოსწავლო წელში გიმნაზიაში **გაიხსნება მე-VIII** დამატებითი კლასი ორ სპეციალურ განყოფილებით: **რუსულ ენისა და მათემატიკისა.** გადასახადი სწავლისა მერვე კლასში **115 მანეთი წელიწადში**, ეს ფული უნდა შეტანილ იქნას სამოსწავლო წლის ყოველ ნახევარი წლის დამდეგს წინდაწინვე. თხოვნების მიღება დოკუმენტებით დაიწყობა 20 აგვისტოდან და 2 სექტემბრიდან 1910 წლისა, ანუ 1910—1911 სამოსწავლო წლის დასაწყისიდან სწავლის გადასახადი მომატებულ იქნება ხუთი მანეთით (5 მანეთი) სახელდობრ: 1 კლასიდან მე-4 კლასამდე—60 მან. წელიწადში და მეოთხე კლასიდან მე-7 კლასამდე 70 მანეთი წელიწადში. (3—ნ.—1)

სოფ. გლდანი

იმავე სოფელში განზრახულ დეპოს სასარგებლოდ, კვირას, 4 ივლისს 1910 წ. საღამოს 8 საათზე, ქართულ დრამატიულ მსახიობთა და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

არსენა,

დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

ანტრაქტებში დაუკრავს მანდოლინისტთა გუნდი. წარმოდგენის შემდეგ

ცეკვა

და მსურველთათვის **ვახშამი.** სოფ. გლდანი მდებარეობს ავჭალიდან 3 ვერსზე. რეჟისორი **ზ. საფაროვი.** გამგე **დარია ხრამელაშვილისა.**

—კვირას, 4 ივლისს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—

გაიმართება კავკასიური

ჭიდაობა

ყმაწვილების მზრუნველთა საზ. სასარგებლოდ

დღეს იჭიდავებს 7 წყვილი:

კულა გლდანელის

თანადასწრებით

1. **გიორგი თოდიაშვილი** გორის გამოჩენილი ფალავანდი რომელიც ჩამოვიდა **ჯიბგირის** საჭიდაოთ და **ვასო ბეკურაშვილი** (ავჭალელი); 2. შაშუა ვერელი და ნიკა პატარა **რუსიშვილი**; 3. პატარა კახელი და ილიკო ავჭალელი 4. ნიკა გიტიშვილი და სამსონ გელბახიძე; 5. ალექსი ნახალოვკელი და კიმოთე გაგნიძე; 6. თედო კაკაშვილი და ვანო კერვალიძე და **თედა კაკაშვილი** მომავალ კვირისთვინ ითხოვს **ბებერუა როსტიაშვილს.**

ჭიდაობის მოყვარენი:

1. ისაკა მთიული და იუზბაშევი; 2. პატარა ჯიბგირი და კოლა ლევანიძე. 3. იოსებ ჯიმითელი და ალექსა ლევიშვილი; 4. მიხეილ ჩაგროვი და სანდრო კბილაშვილი; 5. პატარა დალაქიშვილი და სამსონა თედიაშვილი; 6. ბაღდო გორელი და შაქრო გურჯანოვი; 7. პატარა ჯაფარიძე და სპირიდონ მანჯავიძე;

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.

ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ. დასაწყისი საღამოს 51/2 საათზე. ადმინისტრატორი **ნ. კიკნაძე.** (1—338—1)

ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნა 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებაც მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—24)

ექიმი ახალსთუმანში ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—14)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—160

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^1/_2$—$6^1/_2$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^1/_2$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—10)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—100)

ექიმი ბორჯომში ა. ს. ალადაშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ეროსოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—ნ.—12

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—218)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა. ოლგას ქუჩა N 25.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ხარაპ—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ხუდაბაშევი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

ორემბოვსკი—ცხვ., ყელის, ყურისა. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—63)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

ტფილისი, 4 ივლისი.

ცხოვრების მოუწყობლობა განსაკუთრებით დიდს გაჭირვების დროს იჩენს ხოლმე თავსა. ცხოვრებას მოუწყობლობაზე ყოველთვის ლაპარაკობს ის, ვინც დაინტერესებულია მის მოსპობით, მაგრამ განსაკუთრებულის სიმძლავრით სურვილი ამ მოუწყობლობის მოსპობისა დიდს გაჭირვების დროს დაიბადება ხოლმე. მაშინ უფრო ინტენსიურად მუშაობს ადამიანის გონება, მაშინ უფრო კატეგორიულად აყენებს საკითხებს და მათ გადასაწყვეტად უფრო მეტს ძალასა და ენერგიასა ხარჯავს ადამიანი. დიდი გაჭირვება დიდს მოქმედებასაც იწვევს. ამიტომ დიდს გაჭირვების დროს აუცილებელ საჭიროებად ხდება ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა ხელ-ახლა შეფასება, რომ მოუწყობელ და დუხჭირ ცხოვრების გასაუმჯობესებლად შესაფერი ზომებიც იქნას მიღებული...

ხოლერა ტფილისში დღითი-დღე იზრდება და ფრიად საშიშ ზომებამდის მიდის. მიუხედავად ამისა, ქალაქი მოუმზადებელი დახვდა ამ დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელმაც უკვე ბლომად გამოასალმა წუთი-სოფელს და შემდეგშიაც, თუ ასე პროგრესიულად გაიზარდა იგი და გავრცელდა, კიდევ ბევრს გამოასალმებს. როგორც წინათ, ეხლაც დაფაცურდნენ ერთის მხრით ქალაქის თვითმმართველობა, მეორის მხრით—ადმინისტრაცია. სანიტარული კომისია დარიგებას დარიგებაზე აცხადებს, ადმინისტრაცია—სავალდებულო დადგენილებებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ზომებს ხოლერასთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ ამასთანავე ერთად-ერთი ფრიად დიდი ნაკლი სდევს თანა, სახელდობრ, მათ მხოლოდ დროებითი მნიშვნელობა აქვთ. ხოლერისა და მის მსგავს ეპიდემიურ ავადმყოფობათა მოსასპობად მარტო ასეთი ერთ დროული ზომები არა კმარა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ევროპისათვის ხოლერა ისეთს საშიშ მოვლენას არ წარმოადგენს, როგორც ჩვენთვის, თითქმის ნახევრად პრიმიტიულ პირობებში მცხოვრებთათვის. ევროპამ ქალაქების გაჯანსაღებით მიაღწია ამას. ევროპა თამამად და გულ-გრილად უცქერის ხოლერას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ მას გასავრცელებლად არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება. სულ სხვა პირობებში იმყოფება რუსეთის ქალაქები, რუსეთის ქალაქები სრულიად მოუწყობელნი არიან. არავინ არა ზრუნავს მათ სისაღეზე, მათ გაუმჯობესებაზე. რას წარმოიდგენს, მაგალითად, ქალაქი ტფილისი? ორიოდ-სამიოდ უბნის გარდა, სადაც უმეტეს შემთხვევაში მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი მოსახლეობს, მთელი ქალაქი უსაშინელეს სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. ვისაც ხოლერასთან ბრძოლა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ამ უბნების გაჯანსაღებას უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება. ამისათვის ერთ-დროული, გარდამავალი ზომები არა კმარა. საჭიროა სისტემატიური მუშაობა, სისტემატიური განახლება ქალაქისა. ქალაქის განაპირა უბნების სანიტარული განახლება ქალაქის თვით-მმართველობის მოქმედების დედა-ძარღვად უნდა გადაიქცეს, თუ სურს ხოლერა და მისი მსგავსი ეპიდემიური ავადმყოფობანი მცხოვრებთათვის უშიშარი გახდეს. ეს უდიდესი საქმეა, მაგრამ შესძლებს კი ამის განხორციელებას, ან მოისურვებს კი ქალაქის ერთი მუჭა ცენზიან ბატონ-პატრონები? ვეჭვობთ. ამისათვის საჭიროა თვითმმართველობის გადემოკრატება, საჭიროა ქალაქის საქმეებში ისეთი ელემენტიც იღებდეს მონაწილეობას, რომელიც პირდაპირაა დაინტერესებული ქალაქის განაპირა უბნების განახლებასა და სანიტარულ გაუმჯობესებაში.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ქალაქი, მეტად დამაფიქრებელია მისი დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ, ასე თუ ისე, მას მაინცა ჰყავს პატრონი და თვალყურის მდევნელი. ესევე არ შეიძლება ითქვას ჩვენს სოფელზე. რა გაკეთდა სოფელში, ან რა კეთდება დღეს ხოლერის დასახვედრად? სრულიად არაფერი. უპატრონო, თავის ანაბარას მიგდებული სოფელი, გავერანებული და წელში მოწყვეტილი ხრონიკულის მოუსავლობით, იგი პირდაპირ საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება. არსად საექიმო დახმარება, არსად ცნობების გავრცელება, ყველგან მოუსავლობა და უზომო შრომა,—განა ამისთანა პირობებში მყოფ სოფელს შეუძლიან ხოლერას დახვდეს და გაუმკლავდეს? რუსეთის სოფელი ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებში იმყოფება. იქ საზოგადოებრივი დაწესებულება, ერობა, დარაჯად უდგას სოფლის

ინტერესებს. ერობათა წყალობით რუსეთის სოფელს გაცილებით მეტი საავადმყოფოები აქვს, ხოლერასთან ბრძოლაც იქ უფრო რაციონალურად არის დაყენებული, რადგანაც ეს ერობათა პირდაპირი მოვალეობას შეადგენს. რუსეთში საზოგადოებრივი დაწესებულება ებრძვის ცხოვრების მოუწყობლობას, ერობის წყალობით სოფელს რამენაირი დახმარება მაინც ეძლევა. ვისგან რას უნდა მოელოდეს ჩვენი სოფელი? არავითარი საზოგადოებრივი დაწესებულება ჩვენს სოფელს არ გააჩნია, ცოდნა ნაკლებადაა გავრცელებული. ხოლერა ერთი თუ მოედო სოფელს, საშინელის სიჩქარითა და მძვინვარებით გავრცელდება. ყველა ამას ზედ ერთვის მოუსავლობა, სოფელი ნახევრად დამშეულია. სიმშილი კი ერთი უმთავრესი პირობათაგანია ხოლერის გასავრცელებლად და გასაძლიერებლად. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება სოფელი, და დამხმარე და მშველელი კი არსაიდანა სჩანს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სამეურნეო ჟურნალ „მოსავალ“ში დაბეჭდილია ტექსტი ახალ კანონისა ფილოქსერისა და ვენახების ყველა სხვა დამაზარალებელ სენთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ეს კანონი სახელმწიფო სათათბირომა და საბჭომ მიიღო და უკვე დამტკიცებულ იქმნა უმაღლესად 1910 წელს 21 აპრილს. ამ კანონს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მევენახეთათვის და ამიტომ ზოგიერთს მის ადგილებს ჩვენს მკითხველებსაც გავაცნობთ.

> საზოგადო გამგებლობა ვაზის ხატკივართა წინააღმდეგ ზომების მიღებაში და აგრეთვე მევენახეებისა და მეღვინეების მიმართ ყოველ-გვარ დახმარების აღმოჩენაში სავენახე რაიონებში გადაეცემა მიწათ-მოწყობისა და მიწათ-მოქმედების მთავარ სამმართველოს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს.

შემდეგ ჩამოთვლილია რაიონები, სადაცა უნდა დაარსდეს კომიტეტები. ამ რაიონთა რიცხვში კავკასიაცაა შეტანილი. შემდეგ აღნიშნულია, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს კომიტეტები იქ, სადაც საერობო დაწესებულებანი არ არსებობს.

> „სავენახე რაიონებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული, — ვკითხულობთ კანონში, — და აგრეთვე იქ, სადაც ერობა თუმცა არის, მაგრამ საერობო კრებამ არ იკისრა 2 მუხლით განსაზღვრული მოვალეობანი, მევენახე-მეღვინეთა კომიტეტები არსდებიან თანახმად იმ განკარგულებისა, რომელსაც მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი მოახდენს. ეს კომიტეტები, რომელთ თავმჯდომარეებს მთავარი მართველი ნიშნავს, შესდგებიან: მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების სამართველო დაწესებულებათა და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ნიშნავენ ამ ორივე გვარი დაწესებულებათა უფროსნი; საერობო ადგილობრივ დაწესებულებათა და სასოფლო-სამეურნეო საბაღოსნო საზოგადოებათა წარმომადგენლებისაგან, რომელთაც თვით ეს დაწესებულებანი და საზოგადოებანი არჩევენ, ხოლო რიცხვით იმდენს, რამდენსაც მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი დაინახავს საჭიროდ, და იმ პირთაგან ადგილობრივ ბაღ-ვენახების მფლობელთა შორის, რომელთაც იგივე მთავარი მართველი აარჩევს.
>
> თითოეული კომიტეტის შემადგენელ წევრთა რიცხვის განსაზღვრა და აგრეთვე განსაზღვრა კომიტეტის სამოქმედო რაიონისა მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველს აქვს მინიჭებული, ხოლო ერთის იმ პირობით რომ ადგილობრივ საზოგადოებათა და საზოგადო დაწესებულებათა და ბაღ-ვენახების მფლობელთა წარმომადგენელნი ერთად კომიტეტის საერთო წევრთა რიცხვში ნახევარზე ნაკლებს არ შეადგენდნენ. იგივე მთავარი მართველი განსაზღვრის რამდენი წევრი უნდა დაესწროს კომიტეტის კრებას, რომ კრება კანონიერად ჩაითვალოს.“

კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებში მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს აარსებს აღნიშნულ საფუძვლებზე მიწათმოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარი მართველი კავკასიის ნამესტნიკთან შეთანხმებით.

მევენახე-მეღვინეთა კომიტეტებს უფლება ეძლევათ მიიწვიონ თავიანთ კრებებზე სხვა და სხვა კითხვების გადაწყვეტის დროს რჩევის მისაცემად ის გარეშე პირნი, რომელთაც ამ მიზნით თვით კომიტეტი იცნობს სასარგებლოთ, მხოლოდ მიწვეულ გარეშე პირთ გადამწყვეტის ხმის უფლება არ ექნებათ.

კომიტეტს შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახა, განაჩენი შეადგინოს როგორადაც ფილოქსერით დაავადებულ ვენახის, ისე მის მეზობლად მდებარე ვენახების, ცალკე ვაზების ან სხვა რომელიმე მდგარი ვენახში ან ბაღში მცენარეების ამოგდებისა და მოსპობის შესახებ.

ყველა სავენახე რაიონები ფილოქსერის მხრივ ორ რიგათ იყოფიან: **საღი** ანუ **უშიშარი** მდგომარეობის რაიონი და **დაავადებული** ანუ **საშიშარი** მდგომარეობის რაიონი. საღ რაიონათ ითვლება ის, სადაც ფილოქსერა არ არის აღმოჩენილი, დაავადებულათ—სადაც ფილოქსერა უკვე ნაპოვნია. დაავადებული რაიონებიც იყოფიან ორ რიგათ: ა) **საიმედო რაიონი** და ბ) **უიმედო.** საიმედო რაიონათ ითვლება ისეთი დაავადებული ფილოქსერისაგან რაიონი, სადაც ვენახების გადარჩენა კიდევ შეიძლება სხვა და სხვა ზომების ხმარებით, უიმედო რაიონათ კიდე ითვლება ისეთი, რომლის გადარჩენა ფილოქსერისაგან აღარას გზით აღარ შეიძლება და ყოველი ზრუნვა ამ აზრით ამაო იქნება. საშიშარი და უშიშარი მდგომარეობის რაიონების ერთი ერთმანეთისაგან გამოცალკევება და აგრეთვე საშიშარი ადგილების საიმედო და უიმედო ნაწილების განსაზღვრა-გაცალკევება ადგილობრივ კომიტეტებზეა დამოკიდებული. ხოლო კომიტეტის ყოველი დადგენილება ასეთი გაცალკევების შესახებ უნდა წარდგენილ იქმნეს დასამტკიცებლად მიწათ მოწყობის და მიწათ მოქმედების მთავარ მართველის წინაშე.

კანონი გუბერნატორებსა და სხვა მოხელეებს ავალებს ყოველ-გვარი დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე ამ კომიტეტებს სავალდებულო დადგენილებათა აღსრულების დროს და სხვ.

კანონი, როგორც თვით „მოსავალი“-ც შენიშნავს, ბიუროკრატიის ნაყოფია, მაგრამ მას შეუძლიან ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მოუტანოს მევენახეთ, თუ ისინი ჯეროვნად ისარგებლებენ კანონით მიცემულ უფლებებითა.

ძალიან კარგს იზამს ჟურნალი „მოსავალი“ თუ ან თვითონ გამოსცემს ამ კანონის ტექსტს ცალკე სოფლებში დასარიგებლად ან სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წინაშე იშუამდგომლებს. ძალიან სასარგებლო იქნება ამ კანონის გაცნობა იმათ მიერ, ვისაც იგი პირდაპირ შეეხება, ე. ი. მევენახეთა მიერ.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

3 ივლისი.

საზღვარ-გარედ.

ჰონკონგი. მაკაოდან გაგზავნილმა ნაღმოსანმა აიძულა ჩინელები, დაჭერილი სიმაგრე მიეტოვებინათ. გაქცეულ ჩინელების ორი ნავი დაიღუპა ხალხით. მაკაოს ნავთსადგურში მდგომი ჩინელთა გემები თვალყურს ადევნებდნენ ბრძოლას. ჩინეთის მთავრობამ კუნძულ ვენგუნზე დააყენა 1200 ჯარის-კაცი.

ვენა. გაზ. „ნეიე-ფრეიე-პრესსეს“ სიტყვით, აქაურ პოლიტიკურ წრეებში რუსეთ-იაპონიის შეთანხმების შესახებ იმ აზრის არიან, რომ რუსეთს დასვენება ეჭირვება, რათა შინაური საქმეები მოაწესრიგოს.

სტამბოლი. მთავრობა შეჰპირდა საბერძნეთის ელჩს, ახლო მომავალში ბოიკოტი მოისპობაო. პოლიციის უფროსმა მოიწვია გემების დამტვირთველ მუშათა წარმომადგენლები და მოსთხოვა მუშაობის განახლება, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპრესიული ზომებით დაემუქრა.

კრაკოვი. დაიწყო გრიუნვალდის გამარჯვების ხუთასის წლის დღესასწაული. დღესასწაულზე მოვიდნენ წარმომადგენლები ყველა ქვეყნის პოლონელებისა. არიან წარმომადგენლები ვენის რეიხსრატის, ლვოვის სეიმის, პრუსიის ლანდტაგის პოლონელი წარმოდგენელნი, გერმანიის რეიხსტაგის, სახელმწიფო სათათბიროს წევრები. წირვის გადახდის შემდეგ გაემართნენ მატეიკის მოედანზე გრიუნვალდის შეძგლთან, ძეგლი აგებულია ვივალსკის და შეწირული ქალაქისადმი კომპოზიტორ პედერევსკის მიერ ქალაქს დიდი დღესასწაულის ელფერი ადევს. ასი ათასზე მეტი სტუმარი ბინას ვერა პოულობს სასტუმროებში. ძეგლის ირგვლივ ბაირაღებით სდგანან 31 საზოგადოების წარმომადგენელნი. ძეგლთან ხალხი ოვაციით მიეგება მექანდაკე ვივალსკის და კომპოზიტორ პედერევსკის. გაისმა გალობა პოლონურ სიმღერებისა. დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა. რუსების მხრივ ილაპარაკა პოგოდინმა, როდიჩევმა და ალექსანდრე სტახოვიჩმა, რომელთ მოუწოდეს რუსებსა და პოლონელებს ერთობისაკენ.

ლონდონი ქვედა პალატა. ნაციონალისტმა დილონმა მოითხოვა ორი მილიონით შემცირებულ იქმნას ახალ გემებისთვის გადადებული ფული, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით უდრის 3,444,000 გირვ. სტერლინგს. პასუხი გასცა ასკვიტმა. შეეხო ინგლის-გერმანიის ურთიერთობას და სთქვა: გერმანიის და ინგლისს შორის სრული მეგობრობა არსებობდა და არსებობს, თავის მხრივ გერმანიას აქვს შორეული კოლონიები, ვაჭრობა იზრდება და შეუძლიან გაფართოოს ზღვის ძალები დღევანდელ თავის მდგომარეობის უზრუნველსაყოფად. ასკვიტი სწუხს, რომ კამათის დროს ხშირად გერმანიას ახსენებდენ, თუმცა მდგომარეობა არ შეიცვლება, საფრანგეთმაც რომ გააძლიეროს თავისი ძალა, იმ საფრანგეთმა, რომელთანაც ინგლისს დიდი მეგობრული განწყობილება აქვს. რიცხვის კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ იმ საშვალებისა რომელითაც გემის აშენება სწარმოებს ოთხი წლის წინად გერმანია გემს აშენებდა საშვალო რიცხვით 36—40 თვეში, ეხლა კი გემის აშენებას უნდება 26—36 თვემდე. 1912 წლის აპრილში გერმანიას ეყოლება 13 ან შეიძლება 17 დრედნოუტი. ინგლისს ეხლა ჰყავს 10, ხოლო გერმანიას 5 დრედნოუტი. 1911 წლის დამლევს ინგლის ეყოლება 16, გერმანიას 11, ხოლო 1912 წლის დამლევს ინგლისს 25, გერმანიას 17 დრედნოუტი. გერმანია ამზადებს კიდევ 4 გემს, რომელიც დაახლოვებით მზად იქნება 1913 ან 1914 წლისთვის. ამნაირად გერმანიას ეყოლება ახლო მომავალში 21 დრედნოუტი. ასეთია ძალთა განწყობილება ორივე მხარისა.

თეირანი. სამსახურიდან გადადგა მუსტაუფილ-მემალიკი, რადგან ვერ შესძლო ახალი სამინისტროს შედგენა. ტაგი-ზადე დარჩება თეირანში, რადგან შესაძლებელი გახდა ნეჯეფის მუშტეხიდებთან შერიგება.

პარიზი. რკინის გზის მოსამსახურეთა სინდიკატის ორგანომ გამოაქვეყნა ზომები, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას მოძრაობის შესაჩერებლად, იმ შემთხვევაში თუ გაფიცვა დაიწყება.

ლონდონი. ასკვიტმა განაცხადა, თუ სახეში მივიღებთ იტალიისა და ავსტრიის საზღვაო შეიარაღებას, გადაჭარბებულად არ უნდა ჩაითვალოს ჩვენი პროგრამა. ამ პროგრამით ჩვენ გვეყოლება 25 დრედნოუტი. მართალი, ძნელია დიდი ხარჯის გაწევა, მაგრამ სახელმწიფოს შინაური წყობილების სიმტკიცე და სოციალური რეფორმები უზრუნველყოფენ ერის კეთილ დღეობას. სასურველია, შემცირდეს ახალ გემების აშენება, გერმანიისა და ინგლისის ურთიერთის თანხმობით. ჩვენს მიმართვაზე გერმანის მთავრობამ განაცხადა, რომ ის მოქმედებს რეიხსტაგის გადაწყვეტილების თანახმად, და რომ ხალხი უკმაყოფილებას გამოიწვევს ახალ გემების აშენების თავის განებებაო. ბალფურისა, ბესსფორდისა, ბარმესისა და სხვა რადიკალების სიტყვების შემდეგ, რომელთაცა პროტესტი განაცხადეს ფლოტის საჭიროებისათვის ხარჯების გადიდების გამო [illegible] წინადადება 2386 ხმით, წინააღმდეგ 70 უარყვეს. გემების სამშენებლო ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულ იქმნა.

რუსეთი

პეტერბურგი. დიდის ამბით იდღესასწაულეს სახელმწიფო ბანკის 50 წლის დღესასწაული. დაესწრნენ წარმომადგენელნი სამინისტროებისა და სხვა და სხვა საფინანსო დაწესებულებათა. დღესასწაულის დაწყების დროს სიტყვა წარმოსთქვა კოკოვცევმა, რომელმაც დაახასიათა ბანკის 50 წლის სამსახური რუსეთის წინაშე. აღნიშნა, რომ ბანკმა ბრწყინვალედ განვლო ორმოც-და-ათი წელიწადი. 1905—06 წ. წ. გადიტანა და დღეს ბანკის მდგომარეობა მეტად კარგიაო. არეულობის დროს ბანკმა არა მარტო გადიტანა საშინელი ეკონომიური კრიზისი, არამედ დიდი სამსახურიც დასდო კერძო საკრედიტო დაწესებულებებს, მისცა მათ სესხი. ბანკის მოღვაწეობას გამო ხალხში არსებული შიში გაიფანტა და ფინანსიური მდგომარეობა გაუმჯობესდა. შემდეგ მინისტრმა აუწყა დამსწრეთ უმაღლესი ბრძანება—რომ ბანკის წმინდა მოგებიდან უნდა გადაიდოს 50.000 მანეთი მოსამსახურეთა საპენსიო თანხის შესადგენად. ამ თანხიდან დახმარება უნდა აღმოეჩინოთ იმ მოხელეთ, ვისაც ხაზინიდან არ ეძლევა პენსია. ბანკის მთავარ გამგეობას დიდ ძალი მოსალოცი დეპეშები მოუვიდა სხვა და სხვა ადგილებიდან.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა უმაღლესად დასამტკიცებლად წარადგინოს საკანონმდებლო მოსაზრებანი შესახებ შაქრის რაოდენობის განსაზღვრისა 1910—1911 წლის განმავლობაში შინაურ ბაზარზე გასატანად. სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება განსახილველად კანონ-პროექტი ბათომის საპორტო ოლქის გაუქმების შესახებ და სხვ.

სკერნევიცი. ვარშავაში მიმავალი მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაიმსხვრა ორთქლმავალი საქონლის მატარებლისა და რამდენიმე ვაგონი. მძიმედ დაჭრილია ობერ-კონდუქტორი და 14 კაცი. დროებით შესწყდა მოძრაობა.

მინსკი. სოფ. ლავსტიკაში, ბობრუისკის მაზრაში, ცეცხლმა გაანადგურა 75 მოსახლე.

პეტერბურგი. პირველ ივლისს კიევში გარდაიცვალა ბესტუჟევის

მენავე

ზღვა რისხვით ჰღელავს,
ჰყეფს, გუგუნებს, ქაფ მოდებული;
ტალღა მქუხარე
გამშმაგებით კიდეს ეხლება;
სურს დანგრევას,
მაგრამ იგი უკუქცეული
შავ ბნელ სივრცეში
მიდრიალებს, თრთის, იზმორება...
ირგვლივ მიდამო
შავს ნისლით კვლავ იბურება;
მზე მწუხრის მკერდზედ
თვალსა ხუჭავს... ნათელი ჰქრება!..
ცა მოღუშული,
მთვარე გზასა ველარ მიიკვლევს,
წყვდიადი იმდენ,
ტანჯვის ლანდ ქვეშ ჰკვდება, სულსა ლევს!..

მაგრამ მენავე მხნედ უსვავს ნიჩაბს,
თუმც იალქანს ჰგლეჯს ჩრდილოდან ქარი,
და წინ ელვება მას შთასანთქავად,
ტალღა შავ ბნელი, ტალღა მქუხარი.

იგი მიიბრძვის დაუღალავად,
ზვირთებს მიაპობს მკლავით გმირულით,
ბნელ გზას მიიკვლევს და მკვნესარე ზღვას
არ ემონება ამაყის სულით!..

— ჰოი, მენავე!
წინ ისწრაფე ნუ, ნუ შედრკები,
და რისხვით მქროლავს
ჩრდილოს გრიგალს ნუ ემონები,
ბრძოლაში მარად,
მხნედ გაჰკვეთე შავი ტალღანი,
ბრძოლაში მოჰკვდი
გზა სიკვდილით ჰპოვე მიზანი!..

ს. ფაშალიშვილი.

რა არის ახალი ფილოსოფიაში?

ვისაც დღევანდელი ფილოსოფიის გაცნობა სურს, იმან უნდა მიმართოს გერმანულ ლიტერატურას. ვინც ჩაჰკვირვებია გერმანულ ფილოსოფიურ ლიტერატურას, ის გაკვირვებას არის მიცემული. დღევანდელ ფილოსოფიურ აზროვნებაში არ მოიპოვება ისეთი მიმართულება ან სკოლა, რომელსაც შეერთებინოს და მიეზიდოს ფილოსოფიის წარმომადგენელნი. მრავალგვარი სკოლები, მიმართულებანი—აი, რას წარმოადგენს დღევანდელი ფილოსოფია. რამდენი ფილოსოფოსია დღეს, თითქმის იმდენი ფილოსოფიური სისტემაა. რისი მაჩვენებელია ასეთი მოვლენა? ცხადია, დღევანდელი ფილოსოფია დიდ კრიზისს განიცდის. ძველი ფილოსოფიური მოძღვრებანი აღარ აკმაყოფილებენ ჩვენ აზროვნებას, ახალის შემუშავება ასეთი ადვილი არ არის; მეცნიერება მიდის წინ დიდის სიჩქარით, ჭეშმარიტება გუშინდელი დღის მეცდომად არის გამოცხადებული. ფილოსოფიური აზროვნების მრავალფეროვნობა ამტკიცებს, რომ ჩვენ თვალ-წინ დიდი გონებრივი მუშაობა ხდება; შენდება ახალი ფილოსოფიური შენობა და ახლო მომავალში, თუ დამთავრებული არ იქნება, ყოველ შემთხვევაში ფილოსოფია მიიღებს შესაფერ ელფერს. ჩვენთვის ძლიერ საყურადღებოა თანამედროვე ფილოსოფიური მოძრაობა, ვინაიდან ამ მოძრაობაში და ბრძოლაშია გამოხატული უდიდესი მისწრაფება ადამიანის გონებისა ჭეშმარიტებისადმი. მე ვერ გავბედავ მთლად ფილოსოფიურ მოძრაობის გათვალისწინებას მხოლოდ მინდა აღვნიშნო ახალი შრომები, რომლებიც შეიცავენ მძლავრ მიმართულებას, და თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენენ ფილოსოფიურ მოძრაობაში.

რა აინტერესებს, განსაკუთრებით, დღევანდელ ფილოსოფოსებს? ფილოსოფიის დედა-აზრია შეიგნოს ის უპირველესი ძალა, რომელიც ყველას ამოძრავებს და რომლისაგან ყოველივე გამომდინარეობს, შეიგნოს მსოფლიო არსებობა. ფილოსოფია ის უმაღლესი და უზენაესი მეცნიერებაა, რომელიც ცდილობს შეჰკრას, შეაერთოს, შეასაბამოს ცალ-ცალკე მაძიებელი მეცნიერების გამოკვლევანი და მათი აღმოჩენილი კანონები. ბევრსა ჰგონია, რომ ფილოსოფიის როლი გამოიხატება მხოლოდ უბრალო სინტეზში, სხვა და სხვა დარგის ჭეშმარიტებათა დაკავშირებაში; სრულიადაც არა. ფილოსოფოსი ჰქმნის, სცდილობს აღმოაჩინოს დამოკიდებულება და კავშირი ჭეშმარიტებათა შორის და ამ კავშირში აღმოიკითხოს ის უზენაესი ძალა, რომელსაც ყველა ემორჩილება. რა ნაირად ასრულებს ფილოსოფია თავის როლს? რასაკვირველია, ფილოსოფოსი, როგორც დანარჩენნი მეცნიერნი, სცდილობს შეიგნოს და შეისწავლოს მატერიალური მოვლენანი. მაგრამ ამასთან ერთად ფილოსოფოსი სცდილობს გადადგას ფეხი და წარმოიდგინოს ის, თუ რა იმალება მოვლენებს იქით, თუ რა ამოძრავებს და ასულდგმულებს მატერიალურ მოვლენას. თუ კი ფილოსოფოსი არ დაკმაყოფილდება მოვლენათა შესასწავლით და გადადგავს ფეხს მოვლენათა იქით და ამა მატერიალურ მსოფლიოს იქით არსებულ სფერაში გადავა, მაშინ იგი შეხვდება ისეთ რამეს, სადაც ჩვეულებრივი საშუალებანი ცოდნის და კვლევისა უვარგისნი არიან; ფილოსოფოსი გადადის მეტაფიზიკაში. ექსპერიმენტალური მეცნიერების განვითარების შემწეობით მეტაფიზიკამ დაჰკარგა თავისი ნიადაგი. ფილოსოფიამ აღიარა ის აზრი, რომ ადამიანის გონება ვერ შეიგნებს იმას, რაც არსებობს მატერიალურ მოვლენათა იქით, მაშასადამე, ფილოსოფოსმა უნდა სძებნოს ჭეშმარიტება მატერიალურ მოვლენათა შორის. მეტაფიზიკური კითხვების უკუგდებამ გაამწვავა ძველი ფილოსოფიური საკითხი: შესაძლებელია თუ არა მიაღწიოს ადამიანის გონებამ უზენაეს ჭეშმარიტებას და შეიგნოს ის უპირველესი რამ, რომელიც ამოძრავებს მსოფლიოს, შეიძლება შეიგნოს ფილოსოფიამ მსოფლიოს არსებობა. უკეთ რომ ვსთქვათ, ამ უკანასკნელ დროს ყველგან და განსაკუთრებით გერმანიაში გამწვავებული მოძრაობა გამოიწვია კითხვამ: აქვს ადამიანის აზროვნებას საზღვარი. თუ ჩვენ აზროვნებას და მაშასადამე შეგნებას საზღვარი აქვს დადებული, კითხვა არ არის გადაწყვეტილი. დღევანდელ აღორძინებულ მეტაფიზიკაში და საერთოდ ფილოსოფიურ ლიტერატურაში დიდი ბრძოლა არის ამ კითხვის გარშემო. ერთის სიტყვით, უპირველესი ადგილი ფილოსოფიურ ლიტერატურაში უჭირავს ღნოსეოლოგიას, ე. ი. იმ დარგს ფილოსოფიის აზროვნებისას, რომელიც სცდილობს გაიკვლიოს საზღვრები ადამიანის შეგნებისა. ღნოსეოლოგია არის თეორია ცნობისა, თეორია შეგნებისა, რა თქმა უნდა, რომ ეს კითხვა ძლიერ მძიმე კითხვაა და უსაჭიროესი. მდიდარი ლიტერატურაც არის ამ საკითხვის შესახებ გერმანულ ენაზედ. ადგილი არ მეყოფა, რომ უმთავრესი ნაწერების ჩამოთვლას შევუდგე. უპირველესი ადგილი ამ ჟამად გერმანიაში დ. რიკკერტს და მიუნტენბერგს უჭირავს რიკკერტის შესახებ იხ. ჩემი წერილი („განათლების“, № 2—1910 წ.) ღნოსეოლოგიური კითხვების გამოკვლევას შეუდგა **Husserl**-ი, მას ეკუთვნის შესანიშნავი შრომა **„Logische Untersuchungen, Bds 2** (პირველი ნაწილი მშვენივრადაა გადათარგმნილი რუსულად, ვისაც სურს უდიდესი სიამოვნება იგრძნოს, მიმართოს ამ წიგნს). ლუსერლი სცდილობს დაამკვიდროს ის აზრი, რომ ფილოსოფიურ აზროვნებას მხოლოდ მაშინ ექნება შესაფერი შედეგი, როდესაც იგი განთავისუფლდება ფსიხოლოგიისაგან. ე. ი., ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვით მხოლოდ ნადუღი წყალი

კურსების დირექტორი პროფესორი ფაუსეკი.

ვარშავა. გრიუნვალდის დღესასწაულებისა გამო ყველა ეკკლესიებში გადახდილ იქმნა პარაკლისი. გაიმართა სახალხო ლექციები; მაღაზიები და კანტორები დაკეტილია.

რიგა. მოვიდა დიდი სეტყვა. ნიაღვარმა წალეკა ქალაქის დაბალი ადგილები. ზარალი რამდენიმე ათიათას მანეთს უდრის. სარდაფებში წყალმა გაანადგურა საქონელი.

რადომი. გრიუნვალდის დღესასწაულებისა გამო სამრეწველო დაწესებულებებში არ მუშაობენ. ყველა ტაძრებში გადაიხადეს პარაკლისი.

სკერნევიცი. გადაიხადეს პარაკლისი გრიუნვალდის დღესასწაულებისა გამო. ნაშუადღევიდან მაღაზიები დაიკეტა.

ბურნემუტი. ავიატორი რაულინსონი საცდელ აფრენის დროს ჩამოვარდა, მოიტეხა მუხლი და ხელი.

სევასტოპოლი. როგორც გამოირკვა, გემი „ალექსანდრე“ მიემგზავრებოდა იალტაში, ხოლო „პრუტი“ ოდესიდან სევასტოპოლში მოდიოდა. ხერსონესის პირდაპირ ერთმანეთს დაუახლოვდნენ; გემ „ალექსანდრემ“ მარცხნით გაუხვია, ხოლო „პრუტი“ პირდაპირ მოდიოდა. „ალექსანდრემ“ დაინახა რა ეს, უკან დაიხია, მაგრამ ინერციით წინ წავიდა და დაეჯახა „პრუტ“-ს „ალექსანდრე“, ცოტად დაზიანდა, ორი საათის შემდეგ შევიდა ნავთსადგურში. „პრუტი“ შესამჩნევად დაზიანდა და გადაყვანილ იქმნა შესაკეთებლად. მგზავრთაგანი არავინ დაშავებულა.

ეკატერინოსლავი. გამოფენას აუარებელი ხალხი ესწრება. ვაჭრობის მინისტრის თანაშემწემ გამოფენის ფარდულთან სიტყვა წარმოსთქვა და მოუწოდა ყველა მშრომელთ შეერთებისათვის.

ვარშავა. მატარებლის კატასტროფის დროს სკერნევიცთან დაიმსხვრა 9 ვაგონი, დაზიანდა ორი ორთქლ-მავალი, მძიმედ დაშავდა ორი კონდუქტორი და მსუბუქად 20 კაცი. ღამის ორ საათზე მიმოსვლა განახლდა.

ხარკოვი. საგუბერნიო ერობის საგანგებო კრებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, განთავისუფლებულ იქმნას ორთქლის წისქვილები გადასახადისაგან, უფასოდ გადატანილ იქმნას რკინის გზით სასოფლო-სამეურნეო იარაღები და გაყვანილ იქმნას რკინის გზა ხარკოვ-ხერსონს შუა.

როვნო. სოფ. მიზურანში ნახეს მხეცურად მოკლულ რუსი გლეხის გვამი. მკვლელები კათოლიკენი, არყის მხდელები არიან. ისინი ფარულად ჰხდიდნენ არაყს. აღმოაჩინეს რამდენიმე ნება დაურთველი არყის სახდელი ქარხანა.

კიშინევი. საკრედიტო საზოგადოებაში გაუფლანგავთ 110,000 მანეთი, გამფლანგველთ შემოიტანეს 40,000 მან. სესხის მიცემა შესწყდა.

კიევი. დამთავრდა სენატორ დედიულინის რევიზია. კიევის ოლქისა პასუხის გებაში აძლევენ 47 კაცს, მათ შორის ოლქის საინჟინერო გამგეობის უფროსს, გენერალ ლეიტენანტს აკიმოვს, უფროს ინტენდანტს გენერალ ტოპორ-რაბიმსკის, ბერდიჩევის საალმაშენებლო კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს ინჟინერს, პოლკოვნიკ კრისტინსკის.

ოდესის ოლქში პასუხის გებაში ჯერ ჯერობით მიცემულია სევასტოპოლის, ოდესის და კრემენჩუგის სურსათის მიმწოდებელ მაღაზიების ზედამხედველები. სენატორი დედულინი ოდესას გაემგზავრა.

ვოზნესენსკაია (ყუბანის ოლქში) როგოვის სტანიცაში აღმოაჩინეს ქვა ნახშირის მადანი.

პეტერბურგი. როგორც იუწყებიან, სახელმწიფო ბანკის 50 წლის არსებობის დღესასწაული გადაუხდია ბანკის ყველა კანტორებსა და განყოფილებებს.

ხოლერა

პეტერბურგი. ერთი დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი. რიაზანში აღმოჩნდა ხოლერით ავადმყოფი. ჩერნიგოვის გუბერნიაში, სოფელ რედკოვოში ხოლერით გარდაიცვალა მაზრის ექიმი, ავად გახდა მისი ცოლი და ფერშლის ცოლი. ვორონეჟის ერობის საგანგებო კრებამ ხოლერასთან საბრძოლველად გადადო 76,000 მანეთი. დაადგინეს ეპიდემიისაგან ექიმების დაზღვევა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ხოლერა.** ტფილისში უკვე ფეხს იკიდებს ხოლერა. ჯერ-ჯერობით უფრო მდაბიო ხალხში მძვინვარებს. ამ ორ დღეში დიდძალი ხალხი ქალაქიდან სხვა და სხვა ადგილებისაკენ გაეშურა სააგარაკოდ. მიდის ყველა, ვისაც კი შეძლება აქვს თავი დააღწიოს ამ საშინელს სენს. 2 ივლისს ხოლერით ავად გახდნენ: ოჰანეს ბუდაგისძე საგიანცი, სოფიო შიუკაშვილი, რომელიც უკვე გარდაიცვალა, ანასტასია დავითის ასული გურგენიძე, იოგან პალმი, თაქლა ჩიგიანისა, თევდორე გლადიშევი, ბარბარე ზურაბის ასული გურგენიძე, გიორგი გაბრიელის ძე ბეგიაშვილი, ელენა დავითის ასული ბაშარული, ანნა შპაკოვსკაიასი, ივანე სოტნიკოვი, კესარია ფარსადანის ასული ნიკოლაშვილი, ანნა ჟუკოვსკაია, პეტრე ბაჰანნიკოვი, თევდორე კოსოვსკი, შუშანიკა ჩიბუხჩიანცი, სტეფანე მიკლაშეკი, თაქო გოზალოვისა და მისი შვილი სურენა, ბრეალი ოლლი, ნინა ალექსის ასული საყურაშვილი, ნატალია ანდრიას ასული იორდანაშვილისა, მიხეილ აბრამოვი, ფირუზა ზოლოლიანცი, პორფილე ივანეს ძე ლეჟავა, მაიკო გლახას ძე ბეჟანაშვილი, ალექსანდრე ალექსის ძე საყურაშვილი, რომელიც გარდაიცვალა, ქერბალაი ნამაზ-კიზი, აიკანუშ ალანიანც და კუხმა ბრუსენცოვი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია უყვეს. ავად გახდნენ ხოლერით გუშინაც. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ავადმყოფებს სახლში მალავენ და ამით საშინელ სენთან ბრძოლას აძნელებენ.

◆ **სროლა გორში.** 1 ივლისს, საღამოს ათ საათზე, ქალაქის ქვემო ნაწილში ვილაცეებმა ასტეხეს სროლა. პოლიცია ფეხზე დადგა. ვინ საით გარბოდა არ იცოდა. ვის ესროლეს ან რა მიზნით ისროლეს რავინ იცის. არავინ შეუპყრიათ.

◆ **ხოლერის მოლოდინი გორში.** ხალხი დიდ შიშშია. ხოლერას მოელიან. მოუმზადებელნი კი არიან მასთან საბრძოლველად. დღეს გააკრეს დარიგების ფურცლები 1 ივლისს ავად გახდა ბაქოდან ჩამოსული ორი კაცი. ამ ამბავმა მცხოვრებლებს თავზარი დასცა. ექიმის სიტყვით ისინი ხოლერით არ გამხდარან ავად, მაგრამ ხალხი მას არ უჯერებს. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ხოლერიანთათვის ბარაკის გამართვას ქალაქ გარედ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 4 ივლისს სახალხო სახლში წაკითხულ იქნება ლექციები ხოლერის შესახებ ქართულად, რუსულად და სომხურად. ქართულად წაიკითხავს ექიმი სპირიდონ ვაწაძე, რუსულად ალ. ივ. ხატისოვი, სომხურად ექიმი ქალანთაროვი, ლექციებზე აჩვენებენ სურათებს. შესვლა ყველა ლექციებზე უფასოა.

◆ **ახალი გაზეთი.** ქუთ. გუბერნატორმა ნება დართო ქალაქ ფოთის მოქალაქეს ჩერნიშევს გამოსცეს სოხუმში ყოველ-დღიური გაზეთი რუსულ ენაზე ამ სათაურით: „სოხუმის ფურცელი“.

◆ **რევიზია.** 2 ივლისს დილის მატარებელით გორში გაემგზავრა სენატორი რეინკე ადგილობრივ სასამართლოს დაწესებულებათა სარევიზიოთ.

◆ **იუბილეი.** 2 ივლისს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებამ იდღესასწაულა 50 წ. არსებობის დღე. დღესასწაულს დაესწრნენ ნამესტნიკის თანაშემწე შატილოვი, სენატორი ვატაცი. ტფ. გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა. პარაკლისი გადაიხადა ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგორიმ. პარაკლისის შემდეგ დამსწრეთ გაუმართეს სადილი. გაეგზავნა დეპეშა ხელმწიფე იმპერატორს და ფინანსთა მინისტრს.

◆ **სასამართლო.** 28 ივნისს სამხედრო სასამართლომ ქუთაისში გაარჩია შორაპნის მაზრის მცხოვრების კალენიკე ჩხეიძის საქმე, რომელსაც ბრალს სდებდნენ 102 მუხ. ძალით, სოც.-დემოკრატიულ პარტიის წევრობას აბრალებდნენ. იცავდნენ ნაფიცი ვექილი სოკოლოვი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გეორგაძე. სასამართლომ ჩხეიძე გაამართლა.

◆ **ნახევარ-კაპეიკიანი გადასახადი ქალ. ბათომის სასარგებლოდ.** შინაგან საქმეთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები ურთიერთ შორის შეთანხმებით იმუშავებენ კანონ-პროექტს საკანონმდებლო დაწესებულებაში შესატანად. კანონ-პროექტი აწესებს ახალს ნახევარ-კაპეიკიანს გადასახადს ქალაქ ბათომის სასარგებლოდ ნავთსადგურში ყველა შემოტანილ საქონელზე. როგორც ვიცით, ასეთი გადასახადი შემოღებულ იქმნა ქალაქ ფოთის სასარგებლოდ ამ რამდენიმე ხნის წინად.

◆ **ხოლერა ფოთში.** „კავ.“ სიტყვით, ფოთში ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა მიხ. სიჰინავა. ამას გარდა, ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ორი კაცი.

◆ **ხოლერა რკინის გზაზე.** პირველ ივლისს დილის 8 ს. კარაკლისიდან მომავალ მატარებელში № 75 აღმოჩნდა ხოლერიანი ავადმყოფი, რომელიც ცალკე ვაგონით გაგზავნეს რკინის გზის ხოლერიანთა ბარაკში. ამავე დღეს ღამის 12 ს. მატარებელში № 11 სადგურ შამშორ დოლაართან უეცრად გარდაიცვალა ალექსანდროპოლის მაზრის მცხოვრები ალექ. პოლოსიანცი. პოლოსიანცი ხოლერით გარდაიცვალა. ამიტომ მგზავრები სადგურ აქსტაფაში გადაიყვანეს სხვა ვაგონში და დეზინფექცია მოახდინეს.

◆ **სასამართლოში.** გუშინ ტფილისის საოლქო მამხედრო სასამართლოში დანიშნული იყო საქმე იოსებ ახობაძისა, რომელსაც 1908 წელს 29 მაისს ტფ. საბაჟოს თავდასხმა, საბაჟოს უფროსის იუზეფოჩის მოკვლა და 29.536 მან. 17 კაპ. გატაცება ბრალდება. ამ საქმის გამო სასამართლოს დადგენილებით სიკვდილით დასაჯეს იმერლიშვილი, ხოლო ახობაძე იმალებოდა და მხოლოდ რამდენიმე ხნის წინად შეიპყრეს. სასამართლოში გამოწვეული იყო 15 მოწმე; ამათგან ერთი უმთავრესი მოწმე, ტრამვაის ვატმანი სკოგრევი არ გამოცხადდა და ამის გამო საქმის გარჩევა სხვა დროისთვის გადაიდო.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** ხუთშაბათს, 1 ივლისს კრება ჰქონდათ ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას. კრებამ დაადგინა ერთისთვის ჯამაგირი მისცეს საზოგადოების სკოლის მასწავლებლებს.

◆ **პანაშვიდი.** დღეს, 4 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი გალობის მასწავლებლის გიორგი ივანეს-ძე ნატრაძის სულის მოსახსენებლად.

◆ **ხოლერა ახალციხეში.** 30 ივნისს და პირველს ივლისს ახალციხეში ხოლერის ნიშნებით ათი კაცი გამხდარა ავად. ამათგან გარდაცვლილა ხუთი კაცი. ამის გამო ახალციხის მაზრის უფროსი სთხოვს ტფ. გუბერნატორს ნება დართოს მოიწვიოს საგანგებო კრება ხოლერასთან წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად.

◆ **სასანიტარო დათვალიერება** ქალაქის საგანგებო კომისიამ ასცვატუროვის ლიმონადის ქარხანა დაათვალიერა. ქარხანა მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კომისიამ შესაფერი ოქმი შეადგინა, ხოლო ქარხანა დაბეჭდა.

◆ უკვე გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მე-26 ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია:

დაამსხვრიეთ სულიერნი ბორკილნი — მეთაური; ნამდვილი ამბავი — აკაკისა, წინად და ახლა — ნ. ლორთქიფანიძისა, ღამით — ნ. ჩხიკვაძისა, მშვენიერება — შალვა დადიანისა, საბედისწერო დამბაჩა (დრამა) ტრ. რამიშვილისა, მე და შენ— აკ. პაპავასი, წერილები ნ. შიუკაშვილისა, ვანო ბარველისა და სხვა და სხვა ამბები, ლექსები და სურათები.

◆ გამოვიდა ყოველ-კვირეული ჟურნალი „მოგზაური“-ს მერვე ნომერი შემდეგი შინაარსით:

მეთაური.—მიმდინარე კითხვები, ვეტერანისა.—ხოლერა ტფილისში, მოქალაქისა.—ტუსაღის სიმღერა, ლექსი, რ. ლეჩხუმელისა.—რუსულის უცოდინარი, ვინმე ხანისა.—დროებით ვალდებული გლეხები (ს. დ. ფრაქციის კანონ-პროექტი). —ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა.—მუშათა ცხოვრება. — კორესპოდენციები და სხვ.

◆ რედაქციამ მიიღო მორიგი (12) ნომერი ჟურნალი „მოსავალი“-სა შემდეგის შინაარსით; „კანონი“, ვ. რცხილაძისა; „ნიადაგი“, ნ. გულბაათიშვილისა და „წერილი სამესხეთოდან“, გ. გვარამაძისა.

◆ 1 ივლისს საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 33 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ გუშინ ტფ. მაჰმადიანებმა თავიანთ სასაფლაოზე, ქალაქის მეხუთე უბანში პარაკლისი გადაიხადეს ხოლერიანობის გამო. მაჰმადიანები 500 სულამდე იყვნენ. დაჰკლეს ბატკნები.

აზროვნებაში ყოველთვის ერევა ფსიხოლოგიური ელემენტი, ელემენტი სუბიექტიური, როგორც, მაგალითად, გრძნობიერება და სხვ. თუ ჩვენი ლოღიკური დასკვნანი და ლოღიკური აზროვნება განიწმინდება პსიხოლოგიური ელემენტისაგან, მაშინ ჩვენი ლოღიკური აზროვნება მიგვიყვანს ჭეშმარიტებასთან. ჰუსერლს ამზედ უპასუხეს საბუთიანად, რომ ადამიანი, სანამდის ადამიანია, ვერ ასცილდება თავის პსიხოლოგიის და პსიხოლოგიურ მომენტებს, ყოველთვის ექნება ადგილი ლოღიკაშიც, ე. ი. პსიხოლოგიზმისაგან განთავისუფლება შეუძლებელიაო, მხოლოდ შესაძლებელია რამდენიმედ განდევნა და განშორება პსიხოლოგიური მომენტების. ჰუსერლი თავის წიგნში შესამჩნევად არკვევს ლოღიკის უმთავრეს კითხვებს და გვაჩვენებს, რომ ჩვენი ლოღიკური დასკვნანი, რომლებიც მიგვაჩნდათ უწმინდეს და უზენაეს შედეგად ჩვენი აზროვნებისა, შეიქნა ჩვენი პსიხოლოგიის ძლიერი ზედგავლენით. თუ მართლაც ჩვენი აზროვნება ოდესმე განთავისუფლდება ჩვენი პსიხოლოგიის ზედგავლენისაგან, თუ ჩვენ აზროვნებას დაშორდება სუბიექტიური ელემენტები, რაც არის შედეგი ჩვენი პიროვნებისა, როგორც სულიერი ერთისა, პსიხოლოგიური კომპლექსისა, მაშინ მივაღწევთ წმინდა ობიექტიურ ჭეშმარიტებას მაგრამ შესაძლებელი ადამიანი დასცილდეს თავის აზროვნებაში და გონების მოქმედებაში თავის პსიხოლოგიას? ჰუსერლის წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამზღვარ-გარეთ და დიდი გავლენა იქონია.

ფილოსოფიურმა მოძრაობამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერთა შორის და ამასთანავე საჭიროდ შეიქნა ამ მოძრაობის შინაარსის ვრცლად გაცნობა. დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში, ბევრი ფილოსოფიური საზოგადოება არსებობს, ბევრი ჟურნალი გამოდის და ფილოსოფიის მოძრაობის გაცნობა ძნელი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა საჭირო შეიქნა ახალი ორგანოს დაარსება, რომელიც განსაკუთრებით გააცნობს მკითხველს იმას, თუ რა და რა გვარი ახალი მიმდინარეობაა ფილოსოფიაში. მიზნის მისაღწევად დაარსდა პერიოდული გამოცემა (გამოვა დიდ წიგნად ორჯერ წელიწადში), რომელიც გამოვა რუსულ გერმანულ ფრანგულ-იტალიურ ენაზედ. გამოცემაში მონაწილეობას იღებენ და სახელებულ ქვეყნების ფილოსოფიის საუკეთესო წარმომადგენელნი, გამოცემა სხვა და სხვა ენებზედ არ იქნება ერთი მეორის თარგმანი, არამედ თითეულ გამოცემაში მოთავსებული იქნება სხვა და სხვა ორიგინალური წერილები. რუსული გამოცემა უკვე გამოვიდა, ჰქვია "Логосъ", წიგნი მშვენივრად არის შედგენილი. მოთავსებულია რიკაერტის, გესსენის, იაკოვენკოს, კრონერის მეტად შინაარსიანი წერილები. ვრცლად და ლაზათიანად შედგენილი ბიბლიოგრაფია აცნობს მკითხველს, თუ რა საყურადღებო წიგნები გამოვიდა ევროპიულ ენებზედ. თუ მკითხველი გაეცნობა ამ წიგნს, ბევრს შეიძენს. საყურადღებოა ახალი მოძღვრება ფრანგის ფილოსოფოსის ბერგსონის. მეტად საინტერესოდ არის შედგენილი მისი წიგნი „L' evolution creatrice“. კრიტიკული განხილვა ბერგსონის მოძღვრებისა ეკუთვნის კრონერს. „Логосъ“-ში. ბერგსონი ამბობს შემდეგს: მეცნიერის მიზანია შეიგნოს და შეისწავლოს რაც ხდება ჩვენ გარშემო და ჩვენში, ფილოსოფოსი ეძებს უპირველეს მიზეზს არსებობისას, ვინაიდგან მეცნიერს არ შეუძლიან მთლიანად შეიგნოს მსოფლიოს მოვლენანი, იგი ჰყოფს მთელს, სჭრის ოქროს ნაწილ ნაწილად და ცალ-ცალკე იკვლევს მთელის ნაწილებს და ნაწილების შესწავლის შემდეგ სცდილობს საზოგადო დასკვნა გამოიყვანოს მთელის შესახებ და ამასთანავე მეცნიერი აცხადებს, რომ დასკვნას და მის კვლევა-ძიების აღმოჩენილს, რომელსაც იგი კანონის სახელს უწოდებს, ობიექტიური მნიშვნელობა აქვსო. ბერგსონის აზრით, ასეთ მუშაობაში შეცდომა იმალება, ვინაიდგან დანაწილებული მთელი ჰკარგავს თავის თვისებებს და სავალდებულო ნაწილისათვის არ იქნება სავალდებულოდ, როდესაც ნაწილები შეერთებულნი შეადგენენ მთელს, განუყოფელ ერთს. სურათი ერთიანად უნდა იქნეს შესწავლილი, მხოლოდ თუ სურათს დავანაწილებთ იმ ფერადებად, რომლებისაგან იგი შესდგება, მაშინ სურათი დაიკარგება. ასეთ განსაცდელში მეცნიერიც მთელ მსოფლიოში გამოიხატება უზენაესი, მისტიური მხატვრული ძალა და იგი ძალა უნდა შევიგნოთ ისე, როგორც არის. მაგრამ როგორ? ამის შესახებ ბერგსონი სდუმს. ბერგსონის მოსაზრებანი საყურადღებონი არიან, ვინაიდგან მათში გამოხატულია შესანიშნავი კრიტიკული ძალა და ძლიერი ანალიტიური ნიჭი ავტორისა.

გერმანული ფილოსოფია, დღევანდელი ფილოსოფიური მოძრაობა, რომელიც ღნოსეოლოგიის ანუ შეგნების თეორიის გარს ტრიალებს ეხება წმინდა ფილოსოფიას და აინტერესებს სპეციალისტებს, მეცნიერებს; საზოგადოების ინტელიგენტურს ნაწილში სუსტად გადის ეს ინტერესები. სულ სხვა გვარი სურათი იშლება ჩვენ თვალწინ, როდესაც გავეცნობით საფრანგეთის ფილოსოფიურს მოძრაობას და განსაკუთრებით ამერიკელების და ინგლისელების ფილოსოფიურს ლიტერატურას. ამერიკელები—პრაქტიკის, ცხოვრების ხალხია, მათ უფრო დღევანდელი საჭირ-ბოროტო ცხოვრების საკითხები აწუხებს, ისინი შორს არიან დიალექტიკისაგან. მათ აინტერესებს ისეთი კითხვები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ცხოვრებასთან, მის მოთხოვნილებასთან და რასაკვირველია, რომ მათი შრომები და ნაწერები ვრცელდება საზოგადოებაში და დიდ მოძრაობას იწვევს ჩვეულებრივ მომაკვდავთ შორის. დიდი ლაპარაკი ასტეხა და ლიტერატურა გამოიწვია ამ ბოლო დროს ამერიკელ პროფესორის ვ. ჯემსის ნაწერებმა და აგრეთვე ფრანგ მეცნიერის ე. ბუტრუსი, ამათ მოძღვრებას შემდეგ გავეცნობით.

სიმ. ბეჟანიძე.

პატარა ფელეტონი

* * *

— მე რომ ვიყო მის ალაგასაო!

ფიქრობს მეორე პირველის შესახებ.

— ოო, ესე ვიქდი, ასე მოვიქცეოდიო!

—

— ჩემს ხელთ რომ იყო'ს ქვეყნის გამგეობაო!

ფიქრობს მონა.

— ქვეყანას სამოთხედ ვაქცევდიო!

— იმის ოდენი შეიძლება რომ მქონდესო!

ფიქრობს ღარიბი.

— გავაბედნიერებდი ყველასაო!

—

— იმისი ცოდნა რომ მქონდესო!

ფიქრობს ახალ-გაზდა მკვლევარი

— რას არ აღმოვაჩენდიო!

—

— იმისი ნიჭი რომ შემდგამდესო!

ფიქრობს ხელოვნების კაცი.— მწერალი, მსახიობი, მოქანდაკე.—

— უმშვენიერეს რასმეს შევიქმდიო!

—

— ისე ლამაზი რომ ვიყოვო!

ფიქრობს მახინჯი.

— ო, რა ზედ-მიწევნით მოვიხმარდი ამ გამოცდილებასაო!

—

— ჩვენ რომ თავისუფლები ვიყოთო!

ფიქრობს დამონებული ერი,

— ო, რა წინ წავიწევდით თვითაც და რა წინ წავწევდით ქვეყნის კულტურასაცაო.

—

— ჩვენ რომ ჩვენი უფლება მოპოვებული გვქონდესო!

ფიქრობს დაჩაგრული კლასი,

— ქვეყნად სოციალიზმი უკვე დამყარებული იქმნებოდაო!

—

და ასე მორიგისით ფიქრობს ყველა.

„ცალ-ცალკე და ყველა ერთად“.

— მე რომ... მე რომაო!..

მოხუცი ქრონოსი კი დარბაისელ და ოლიმპიურ სახისა, მიღომა, თავისთვის მეფისტოფელივით იღიმება.

სულ ეს ესმის, სულ ეს ესმის მის საუკუნო ყურებს. და...

მაინც ყველაფერი თავის გზით მიდის.

შალვა დადიანი.

ევროპის გაზეთების აზრი რუსეთ იაპონის შეთანხმებაზე.

მკითხველებს დეპეშებიდან ეცოდინებათ, რომ რუსეთ-იაპონიის შორის მოხდა შეთანხმება. ევროპის გაზეთებმა უკვე გამოსთქვეს თავთავიანთი აზრი ამ შეთანხმებაზე. უმრავლესობა ამ შეთანხმებას ისე უყურებს, რომ ჩინეთმა ყოველივე ეჭვს გარეშე დაჰკარგა მანჯურია, ხოლო შეერთებული შტატები ძნელად შეურიგდება ასეთ მდგომარეობასა.

გაზ. „Daily News“ სწერს: „სამწუხაროდ, შეთანხმების მუხლები მეტად, ბუნდოვანი და გამოურკვეველია... როგორია ამ ორი სახელმწიფოს სარკინიგზო პოლიტიკის პრინციპები მანჯურიაში და როგორ უნდა გავიგოთ შეთანხმებაში დასახელებული „Status quo“? ჩინელების აზრი (და არა მარტო ჩინელების) ისეთია, რომ ჩინეთის სუვერენიტეტი მანჯურიაზე გაუქმებულია რუსეთისა და იაპონელების მეცადინეობით. პორტსმუტის ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით რუსეთი და იაპონია არ უნდა უშლიდეს ხელს ჩინეთის კომერციულსა და სამრეწველო მოღვაწეობას მანჯურიაში... მაგრამ სახელმწიფოებმა სულ გამოაცალეს ჩინელებს ხელიდან რკინის გზების გაყვანის საქმე. ეჭვი არაა, რომ ამ შეთანხმებით ჩინეთის მისვლება, რომ სახელმწიფოებმა პირი შეჰკრეს მანჯურიაზე ხელი აიღებინონ ჩინეთს“.

„Berliner Tageblat“-ი სწერს:

ჩინეთი გულგრილად უნდა უყურებდეს, როდესაც იაპონია და რუსეთი იყოფენ მანჯურიას... ამიტომ ამ ხელშეკრულებას უნდა უყურებდეთ, როგორც მდგომარეობის გართულების დასაბამს, ვინაიდან ჩინეთი დღეს 1910 წელში ის აღარაა, რაც 1900 წელში იყო“.

„Vossiche Feitung“ სწერს:

მორეულ აღმოსავლეთში მოსალოდნელი იყო უცნაური კავშირი... რუსეთი დაუკავშირდებოდა ამერიკას და ჩინეთს იაპონიის წინააღმდეგ, იაპონია შეუთანხმდებოდა ჩინეთს რუსეთის წინააღმდეგ და სხვ. მაგრამ ეხლა, შეთანხმებაზე ხელი მოწერილია და ჩინეთს კარგად ესმის, რომ ეს უკვე არსებულ დამოკიდებულებათა ქაღალდზე განმტკიცება არაა. იცის, რომ მანჯურია თანდათან გადადის იაპონელების და რუსეთის ხელში.

მაგრამ ჩინეთის გარდა არც შეერთებული შტატების სახელმწიფო შეხვდება გულგრილად ამ შეთანხმებას:

„Neue Freie Presse“ აცხადებს:

ვაშინგტონის მთავრობა ეჭვი არაა, ისეთ მთაბეჭდილებას მიიღებს ამ ხელშეკრულებიდან, რომ არსებულ ურთიერთობის განმტკიცების საკითხი მანჯურიაში ამერიკელთა წინააღმდეგ არის წამოყენებული. არსებულ მდგომარეობას დარღვევად უნდა ჩაითვალოს სტატს სეკრეტარ ნოქსის წინადადება მანჯურიის რკინის გზების ნეიტრალიზაციის შესახებ.

„Daily News“ შენიშნავს:

რუსეთისა და იაპონიის დამკვიდრება მანჯურიაში სრულიად აუქმებს პრინციპს „ღია კარებისას“ და ამას კი გავლენა აქვს ამერიკის ვაჭრობის გითარებაზე მანჯურიაში. ახალ შეთანხმებას არ შეუძლიან ეჭვები არ აღძრას ვაშინგტონში.

„Prankfurter Zeitung“-ი კითხულობს

რუსეთი და იაპონია სთანხმდებიან იმ კუთხის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ჩინეთს და რომელსაც თავის გუბერნატორიც ჰყავს დანიშნული მუკდენში, და რა იქნება რომ ჩინეთმა სთქვას, რომ „გავლენა“ მანჯურიაზე ნიშნავს მის სრულ დაჭერას და... იარაღი იმისთვის თავისუფლებათა დასაცავად? და ასეც რომ არ მოხდეს, ევროპის სხვა სახელმწიფოებიც ხომ აფასებენ „ღია კარების“ პრინციპს. რა იქნება ვთქვათ მაშინ, თუ ამერიკა ჩინეთისაგან მანჯურიაში რკინის გზების კონცესიას აიღებს? ხომ არსებულ დამოკიდებულების დარღვევა იქნება ეს? და თუ ასეა, მაშინ შეთანხმება ნიშნავს „კარების დახურვას“ და „Status quo“-ს დარღვევას.

„New—Viork Herald“-ს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ამ შეთანხმებასთან ერთად რუსეთსა და იაპონიის შორის არსებობს საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც ეხება კორეის ანექსიას, „იაპონიის და ჩინეთის მიერ განზრახვას რკინის გზების გაყვანას მანჯურიაში.

ევროპის პრესა, როგორც მკითხველებიც დაინახავენ, მეტად დიდ მნიშვნელობას აწერს ამ შეთანხმებას, ამბობენ, რომ შორეულ აღმოსავლეთში ახალი ხანა იწყებაო.

მოწერილი ამბები

გორი. ძველებურად იხანჩალებს აქაური ცხოვრება. თუ ძველს არაფერი მიემატა, ახალი არაფერი შეგვმატებია. ისევ იმ ავატიის სენით ვართ შეპყრობილნი, როგორც აქამდის ვიყავით, საზოგადო საქმე იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც იგი ჩვენი პირადი ანგარიშებისთვის სასარგებლო იქმნება. იმედი გვქონდა სხაფხულად ჩამოსული სტუდენტობა სიცოცხლის ნიშანწყალს შეიტანდა გორის ერთფეროვან ცხოვრებაში, მაგრამ მოვტყუვდით ისე, როგორც მოვტყუებულვართ სხვა ბევრ რამეში: ლექციებზე კრინტიც არ იძვრის, სახალხო თეატრი ცარიელია, სამკითხველოს წიგნებს თაგვები ხრამენ, კულტურულ მუშაობაზე არავინა ზრუნავს, თუმცა სტუდენტები და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდობა აქ ბლომად არის. სამაგიეროდ მუდამ დაეხეტებიან ქალებთან, არშიყობენ, ოხუნჯობენ და რაც რუსეთში დაავლდათ, იმას აქ ასრულებენ.

უნუგეშოა ჩვენი სახალხო უნივერსიტეტის მდგომარეობაც როგორც მკითხველს გაზეთებიდანაც მოეხსენება, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ საწევრო გადასახადით და სხვა და სხვა შემოწირულებებით გადასწყვიტა აეგო საკუთარი შენობა. შენობის აგება თავის მამულზე იკისრა ბ-მა შესრთვ მარუტოვმ. გამგეობამ აჯანსად 600 მან. მისცა მას. კედლები უკვე ნახევრად ამოიყვანეს, მაგრამ ამ „ქველმოქმედმა“ სახალხო საქმის ისტორიის ნარსი უკუღმა შემოატრიალა. სხვა და სხვა მარი უყარა გამგეობას როგ. მაგ. გეგმა თავის დროზე არ წარმოადგინეთო და სხვ. და ხელშეკრულება დაარღვია.

მაგრამ უსაუთოა ამ „ქველმოქმედის“ საქციელი; ნამდვილად სულ სხვაგან მარხია ძაღლის თავი. სხვა და სხვა სინათლის მოსულ პირებმა დაარწმუნეს, რომ ამ საქმეში მას დიდი მოგება არ დარჩებოდა და იმანაც უსმინა მათ „რჩევას“. გამგეობა უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და არ იცის რა ჰქმნას.

ტკბილად სძინავთ ჩვენს სანიტარებს, მიუხედავად იმისა, რომ ტფილისში ხოლერა თან და თან ფეხს იკიდებს და ეპიდემიურ ხასიათს იღებს. იქნება არ ეძინოთ, „მოქმედებენ“ გვიჩნებ კიდეც, მაგრამ მათ „მოქმედებას“ არავითარი „სანიტარული“ ხასიათი არა აქვს. ქუჩები ეხლა უფრო უსუფთაოდაა. მთავარ ქუჩებზედაც კი ზოგჯან ისეთი სიბინძურეა და ისეთი სიმყრალის ბუღი ტრიალებს, რომ უნებურად ცხვირზე ხელსახოცი უნდა მიიფაროთ იქითკენ გავლის დროს. ქუჩები მარტო სადამოთი ირწყვის, საჭიროა კი დილითაც მორწყვა, რადგან გორის მტვერი ყველას კარგად მოეხსენება. ქუჩები მეთქი ვამბობ, მაგრამ ამით მკითხველი შეცდომაში შემყავს, ვინაიდან მთელ ქალაქში ირწყვის მხოლოდ სამეფო ქუჩა, სხვა ქუჩები ღვთის ანაბარადაა მიტოვებული და არ ვიცი როგორ იქმნება თუ ქალაქონი ხოლერა სადარბაზოდ გვეწვია, და რომ ეს უეჭველად ასე იქმნება, ამაში ეჭვი აღარ არის. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს „გსრეთუბანს“ და „წმინდა წყალს“, თორემ ხოლერა საავარაკო რეზიდენციას იქ გაიკეთებს. ფხიზლად, ფხიზლად, სანიტარებს; **ხან—გან—ძე.**

ს. ვეჯინი. (კახეთი) სიღნაღიდან რომ იყალთოსკენ გაემგზავროთ თვრამეტი ვერსის გავლის შემდეგ, შენიშნავთ წერილებით დაბურულ სოფელს, რომელიც გაშენებულია თითქოს მთის ძირზე, მაგრამ სათცნებოდ მაღლობ ადგილზე. მშვენიერი ჰვავა დიდი სანახაობა გადაეშლება მაყურებელს ს. ვეჯინიდან ალაზნის ველი თვალ წინ გადეშლება. კარგად მოსჩანს ქვევით თუშეთამდე ზევით შიდამდე.

მთელ სოფელში რომელშიაც მცხოვრებთა რიცხვი დახლოვებით 600 კომლია, არ მოიძებნება ხალხის გულ-შემატკივარი პირი, რომელმაც ხალხის წინმსვლელობაზედ ცოტად მაინც ზრუნავდეს. აქ მხოლოდ გამეფებულია შური, სიბნელე, ცრუმორწმუნობა, მტრობა, ერთმანეთის გაუტანლობა, დაბეზღება და სხვა. უმთავრესი მიზეზი ხალხში ამნაირ არა სასურველ მოვლენათა გავრცელებისა უნდა მივაწეროთ მათ გონებრივ და ზნეობრივ სიღატაკეს.

ამ სოფელში თითქოს 22—25 წელი იქნება. რაც არსებობს სოფლის პირველ დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი. მაგრამ რა გამოვიდა ბატონებო! როდესაც ამნაირ ყურადღებოდ მიტოვებულ სასწავლებლის არსებობას სჯობს არ არსებობა.

1896 წლამდე ვიდრე აქ განსვენებული თავ. მ. ანდრონიკაშვილი ცოცხალი იყო არა უჭირდა რა ამ სასწავლებელს. რადგან ანდრონიკაშვილის მზრუნველობით წინ მიისწრაფოდა მისი ბედ-იღბალი. მხოლოდ მის სიკვდილს კი მოჰყვა სიკვდილი სასწავლებლისაც. (თუმც შემდეგ ბ-ონ. ფურცელაძის მასწავლებლობის დროსაც არა უჭირდარა). ანდრონიკაშვილის შემდეგ. მზრუნველობა უბოძეს თავ. შ. აბაშიძეს. წელიწადში ორჯელ არ ჩავა და არ შეიტყობს როგორ ნიადაგზე სდგას. ახლანდელმა სასწავლებელმა, უკანასკნელ ექ სი წლის განმავლობაში ხომ კიდევ მოლოდინს გადააჭარბა. ერთი ისეთი მოსწავლე არ გამოსულა, რომ თუნდ თავის სახელის და გვარის დაწერა სცოდნოდა წესიერათ. მასწავლებლის ჯამაგირს კი ხალხი ყველებრივ იხდის ყოველ-წლის.

შურსა და მტრობას კი ისეთი მაგარი ნიადაგი აქვს მოკიდებული, რომ ურთერთის გადაკიდებამ კინაღამ ადგილი დაუკარგა აქაურ მწერალს და მასწავლებელს.

მეორე ამ სოფლის ნაკლულევანებას შეადგენს გზების დაუკეთებლობა. თხუთმეტი წელიწადი იქმნება რაც ამაზე არვის უზრუნია. ჩვენი სოფლის ხალხი ამნაირია, რაც უნდა მისთვის საპიროებას შეადგენდეს, ის მაინც ყურს არ გაიბერტყს. მხოლოდ ამას დაუდევრობას იმავე სოფლის მამასახლის მივაწეროთ. რასაკვირველია მამასახლისი მოვალეა სოფლის გზები დაასუფთაოს და არხები გააწმენდინოს.

ხურისა და ღვინის მოსავალი აქეთ წელს რომ ვსთქვათ საშუალოა, თუმცა ეს ორი კვირა იქნება რაც გვადგამ ძალიან შეაწუხა. ღვინის მოსავალს კარგი პირი უჩანს. ძველი ღვინო აღარ იშოვება. ვისაც აქვს, მეტად დიდფასებში ჰყიდის. **ვალერი.**

თეატრი და ხელოვნება

ყვირილა. ლექციები კარგა ხანია არ გამართულა. ს. ჟორჟოლიანმა წაიკითხა ლექცია თვით მკვლელობაზე. ლექცია ნაკლებად შინაარსიანი იყო. გარეგნულადაც მეტად უშნო. სუსტობდა ქართული ენა, ამას გარდა ყოვლად შეუწყნარებელია ლექტორის ის საქციელი, რომ ციტატებს კაუცკისა, შელინგისა, ნიცშეა, შოპენგაურის და სხვა რუსულად კითხულობდა. ქართულად გადათარგმნა მეტ ბარგად მიაჩნდა ლექტორს ჟორჟოლიანს.

აფიშებში გამოცხადებული იყო, რომ ვ. ურუშაძე, დ. მესხი, და ვ. არაბიძე წარმოდგენას გამართვენ 28 ივნისსაო. მაგრამ მოვტყუვდით. წარმოდგენა კი გაიმართა. მაგრამ ვ. არაბიძის მეტს არც ერთი დასახელებულ მსახიობს მონაწილეობა არ მიუღია წარმოადგინეს „ირინეს ბედნიერება“. დ. კლდიაშვილისა. თამაშობდენ აქაური სცენის მოყვარენი. წარმოდგენაშ მეტად სუსტად ჩაიარა, არც თამაში, არც ლაპარაკი, არც დიქცია, არც მიმიკა არ უვარგოდათ. ეტყობოდათ მოთამაშეთ იმერლები თავის სიცოცხლეში არ ყუნახავთ, რადგან ყველანი რაღაც ჟარგონზე ლაპარაკობდნენ, თათრულ, ხომხურ, რუსულ კილოს ნახავდით და არა იმერულს.

აბასალომ (გ. ახრახაძემ) ხომ სულ დაგვტანჯა. ისეთის ხელების ქნევით და ტრაგიზმით ლაპარაკობდა გეგონებოდათ კორნელის ცრუ-კლასიკურ დრამის გმირიაო.

ამ საღამოს არც ერთს არ ქონდა იმერული კილო და მიხვრა-მოხვრა ხომ სულ იმერლებისა არ ქონდათ გარდა არჩილ არაბიძისა, რომელიც ცოტად თუ ბევრად სხვებზე უკეთესად თამაშობდა.

სწორედ შესაბრალისნი იყვნენ ზოგიერთები. არ იცოდნენ სად დამდგარიყვნენ ან დამჯდარიყვნენ და ერთმანეთს სცენაზე მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ. ხელები კი ვერსად ვერ დამალეს თუმცა ბევრი კი ეცადენ. ზოგმა დოინჯით, ზოგმა გულ-ხელ დაკრეფით უშველა თავს. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ქალები უკეთ თამაშობდენ, ვიდრე ვაჟები. კარგი იყო ირინე (ფაცია აბაშიძე) მეორე მოქმედებაში.

წესრიგიც არ ვარგოდა. ყვირილი, სიცილი. სცენიდანაც უყვიროდა ბ-ნ, არაბიძე, „დაჩუმდით“, „დაჩუმდითო“. ამას გარდა ზოგიერთი ადგილები ორჯელ გაეყიდნათ ქველმოქმედებით გატაცებულ ადგილობრივ სტუდენტებს.

სცენის მოყვარეთა საყურადღებოდ უნდა ვსთქვა, რომ თუ შემდეგშივე ასე გამართავენ და უპატივცემულოდ მოეპყრობიან პიესებს, ნუ გამოაცხადებენ პიესის ავტორის გვარსა და სახელს. შეიბრალონ ავტორები. **კოლხ.**

გორი. 29 ივნისს ბ-მა ი. სარაჯიშვილმა „გაგვაბედნიერა“ თავის მობრძანებით. მან და ჩვენმა ახალგაზრდა მემუსიკემ თამარ ძნელაძემ „რუსული“ კონცერტი გამართეს. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო. მაგრამ ბ-მა სარაჯიშვილმა ესთეტიურ სიამოვნება ვერ აღუძრა საზოგადოებას თავი ამაყად ეჭირა, თითქოს საზოგადოებას მასხარად იგდებდა, სხვა და სხვა სასიმღეროები მან რუსულად შეასრულა. მისი სიმღერა არმოეწონათ. ხოლო როცა საზოგადოებამ ერთხმად სთხოვა „ურმული“ ემღერა, მან ირონიულის კილოთი და თავის კანტურით, თითქოს ქართულს სიმღერას თავის „ანგელოზის“ ხმის ღირსად არა სცნობდეს, მოახსენა რუსულად: ურმულს მაშინ ვიმღერებ, როცა ურმის კოფოზე ვიჯდებიო. ამან ხომ დამწრეთა შორის პირდაპირ არა სასიამოვნო გრძნობა გამოიწვია. კიდევ კარგი რომ თამარ ძნელაძემ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე საუცხოოდ დაუკრა სკრიპკაზე. **ხან-გან-ძე.**

ს. გლდანი. დღეს 4 ივლისს, სოფელ გლდანში გაიმართება წარმოდგენა ადგილობრივ დეპოს სასარგებლოდ. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ სცენის მოყვარენი. ქართულ თეატრის მსახიობის შ. საფაროვის რეჟისორობით წარმოადგენენ „არსენას“.

ს. ჯუგაანი. (სიღნაღის მაზრა) დღეს 4 ივლისს ს. ჯუგაანში დასდგამენ „არსენას“ და „ტიმოთეს ლედვს“, მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი და ი. გრიშაშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩემს წერილს:

ივნისის 29-ს მივდიოდი წირვაზედ, ეკკლესიის გალავანში რომ შევედი, დავინახე პირველი ნაწილის ბოქაულის თანაშემწე, რომელიც მიდიოდა სანთლის ქარხნის სათეთრებელში, რომელიც მოთავსებულია ეკკლესიის მახლობლად. შევედი მეც და გავიგე რომ ბ. დ. კახნიაშვილის შეუძრავს სასულიერო და საერო წოდების უფროსები: ივნისის 26 წერილი დაუბეჭდია თქვენს გაზეთში, რომ ვერის სასაფლაოზედ ადამიანის ძვლებს იღებენ საფლავიდანაო; ივნისის 27 ს ესევე შეუტყობინებია სასულიერო მთავრობისათვის, რომელსაც სასტიკად უბრძანებია ეგზარხოსის კანცელარიიდგან ტელეფონით პირველი ნაწილის ბოქაულისათვის, დაუყოვნებლივ მიბიდეს ვერის სასიფლაოზედ და განიხილოს ყოველივე; ბოქაულმა ორი თავისი თანაშემწენი გაგზავნა დასათვალიერებლად, რომლებმაც მოახსენეს ბოქაულს, რომ არვინა სთხრის საფლავებს და არც ადამიანის ძვლებს, რაიცა მაშინვე ტელეფონით შეატყობინეს ეგსარხოსის კანცელარიას.

ბ. კახნიაშვილი ამით არ დაკმაყოფილებულა, ასულა ტელეგრამის კანტორაში და ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორისთვის მიუწერია ტელეგრამა, რომ ვერის სასაფლაოზე კვდრებს სთხრიან და განკარგულება მოახდინეთო. ამ ტელეგრამაზე პროკურორს წაუწერია:

„პირველი ნაწილის ბოქაული გამოიძიებს ადგილობრივ ამ საქმეს და თუ რამ მომხდარა დამნაშავე მიეცეს სასამართლოში. მე-79 მუხლის ძალით, და გამოძიება გადაეცეს პირველ სამოსამართლო გამომძიებელს“ ეს ბრძანება მიუღია ბოქაულს 28 ივნისს, ღამის 10-ს ს. 45 წ.

ივნისის 29-ს 8 ს. ეკლესიის გალავანში დავინახე ბოქაულის თანაშემწე, რომელიც მივიდა სანთლის სათეთრებელში და ამ ბრძანებით მოახდინა გამოძიება; შეეკითხა დეკანოზს ჯაჯანიძეს. სანთლის ქარხნის მართველს, და მომუშავეთ, რომელთაც უჩვენეს, რომ კახნიაშვილი შემოვარდა ქარხანაში, გამოთხარა ადგილი და გამოაძრო ადმიანის კანჭი, შეახვია კალთაში და წაიღო შინა. ესევე უჩვენა იმ პოლიციელმა, რომელმაც თითონ მიიყვანა და რომელზედაც თამამად სწერდა გაზეთში: „პოლიცია მივიყვანე და ვაჩვენეო“ (№ 42 სახალხო გაზეთისა).

თავის მხრივ მოწმათ მოიყვანა სიდედრი, მართა მაისურაძის, რომელმაც უთხრა ბოქაულის თანაშემწეს: „მე ძვლები არ მეკითხება, ჩემი ეზოდგან წყალი გადიოდა სანთლის ქარხანაში და გზა შემიკრეს, გთხოვთ უბრძანოთ, გზა გახსნანო“. ასე გათავდა გამოძიება და თვით კახნაშვილმა ყველაზე ხელი მოაწერა. ბოქაულის თანაშემწემ ჰკითხა კახნიაშვილს: „სხვისა ცოდვას რომ ეძებ, შენ ხომ დანაშაული არაფერი გაქვსო“, რაზედაც პასუხი ვერ მიუგო. ბოქაულის თანაშემწემ წაიყვანა კახნიაშვილი პოლიციაში და წარუდგინა ბოქაულს, რომელმაც პოლიციელი გამოატანა და თითონვე ჩააფლევინა მას ამოღებული ძვალი.

მოწმების ჩვენების ჩამორთმევის დროს კახნიაშვილი ძალას ატანდა ბოქაულის თანაშემწეს ჩვენებაში ჩაეწერა დ. ჯაჯანიძე კი არა, მღვდელი გამდლიშვილი, რა უნდოდა ამით კახნიაშვილს, არ ვიცი;

ამ გამოძიებამცხადად დაამტკიცა კახნიაშვილის „ჭეშმარიტი მოქმედება“ და „მისი პირუთვნელი მიზანი“.

ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მნათე ალ. გოცირიძე.

განცხადებანი

ექიმი **ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ვენ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—134

თვეში 150 მან.

და მეტს უთუოდ აიღებთ, თუ იცით უცხო ენები. **მხოლოდ ჩვენს ამერიკულ სისტემაზე** შესწავლით 2—3 თვის განმავლობაში მასწავლებლის დაუხმარებლად **გერმანულ ენას, ფრანგულს ინგლისურსა და ლათინურს.**

ამ სისტემით აუცილებლად მიაღწევთ საწადელს. დიდძალი ქების წერილები მოგვდის. ფასი 1 ენისა 1 მ. 25 კ., 2-სა 2 მ. 25 კ. 3-სა 3 მ. 4-სა 3 მ. 75 კ. (მარკებითაც) იგზავნება დაუყოვნებლივ, უბედად.

С.-Петерб., Невскій 118 Т-во „Основа“. N 1846 ალექ. ბელი ს. პ. ბ. (4—6.4)

დოქტ. ნავასარდიანის

დაარსებულია 18[illegible]

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—0 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6½ . საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოვიდა და იყიდება: ტფილისში

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია“, გედევან გედევ ნოვისადმი, „ბედმა მიდალატა“ ვახო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) **ალ. თუთაევი-** (15—11)

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ:	N 1, სწრ.—საღ.	11 ს. 28 წ.
	N 3, საფ-ს.—დღ.	1 ს. 24 წ.
	N 5, სამგზ.—საღ.	7 ს. 31 წ
ბაქოსკენ:	N 2, სწრაფ.—დილ.	8 ს. 15 წ.
	N 4, საფ-ს.—საღ.	10 ს. 4 წ.
	N 12, სამგზ.—დღ.	2 ს. 38 წ
ბორჯომისკენ:	სამგზ.—დილ.	8 ს. 28 წ.
	სამგზავ.—დღ.	3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ:	საფოსტო—ღამ.	12 ს. 22 წ
ერევნისკენ:	სამგზავრო—დღ.	4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან:	N 2, სწრ.—დილ.	7 ს. 25 წ
	N 4, საფ-ს.—საღ.	9 ს. 4 წ.
	N 6, სამგზ.—დილ.	11 ს. 4 წ.
ბაქოდან:	N 1, სწრფ.—საღამ.	10 ს. 36 წ.
	N 3, საფოს.—დღ.	12 ს. 24 წ.
	N 1. სამგზ.—დილ.	6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან:	სამგზ.—დილ.	6 ს. 28 წ.
	სამგზ.—საღამ.	8 ს. 08 წ.
ჯულფიდან:	საფოსტ.—დილ.	6 ს. 8 წ.
ერევნიდან:	სამგზავ.—დღის.	6 ს. 33 წ

ერთად-ერთი ქარხანა კავკასიაში

◆ კაფალის ფეჩებისა ◆

დაარსებულია 1893 წელს

გ. სტიპულკოვის მიერ

მიხეილის პროსპექტი, № 137.

იყიდება თეთრი, ტეფალეტის ფეჩები და ბუხრები. დადგმა ფეჩებისა, ქურებისა და ბუხრებისა. წარმომადგენელი ბულტ-პლიკრა ტების ოთახებისა, და ეკკლესიების ჩქარი გათბობისათვის. შეშის ეკონომია 50%. მიიღება შეკვეთა ფოტოგრაფია ფარფორზე, ცეცხლში გამოწული ძეგლებისათვის, ბროშებისა, მედლიონებისა, ჩაშკების და სხვ.

პატივცემულ მყიდველთ ვთხოვ ხელი შეუწყონ ადგილობრივ ქარხნის ნაწარმოებს.

(3—337—1) პატივისცემით **გ. სტიპულკოვსკი.**

ელექტრონის გილზის ფაბრიკა

„რ ო ზ ა“

(„ვარდი“)

ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.

საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—39)

სანერგე ამერიკულ ვაზისა

„კლო-უგურული“ ქუთაისში.

● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—48)

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა,**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3